წელიწადი მეცხრე.—№ 446

პარასკევი, 25 ოქტომბერი, 1874.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.



ხელის-მოწერა

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

შინაარსი:

რედაქციისაგან.—საქართველო: ჩვენი ბანკების დანიშნულება,—საწყალი მარტვილის შკოლა!—წვრილი ამბები.—„დროების“ კორრესპონდენცია: სამეგრელოს სამღვდელოების კრება ქუთაისში.—რუსეთი: წვრილი ამბები.—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი,—გერმანია,—ესპანია.—საქართველოს ცხოვრებიდგან: ქართველების ძველ-ბედობა ჯალალ-ედინის დროს.—ამბობენ.—ნარევი.—განცხადებანი.

რედაქციისაგან

ამ კვირაში უფ. მთავარ სამმართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს მივეცით თხოვნა, რომ მომავალი წლიდამ კვირაში „დროების“ სამჯერ გამოცემის ნებართვა მოგვეცეს. ამასთანავე გაზეთის პოლიტიკური პროგრამმის შეცვლაც ვითხოვეთ.

ეს არის მიზეზი, რომ მომავალი წლის გამოცემაზე ჩვენ ჯერ არას ვაცხადებთ. იმედი გვაქვს, ამ ორ-სამ კვირაში ამ საქმეს დასასრული მიეცემა; უფრო დაწვრილებით ამაზე მხოლოთ მაშინ შეგვიძლია მოვილაპარაკოთ.

„დროების“ რედაქცია

წლევანდელი წლიდამ დაიწყობა და შემდეგ ყოველ წლობით გამოვა:

„დროების კალენდარი“

მომავალი (1875) წლის „დროების კალენდარი“ ნოემბრის დამლევს ან უსათუოთ დეკემბრის დამდეგს დაიბეჭდება და გამოვა.

საქართველო

✓ ჩვენი ბანკების დანიშნულება

არცერთ საგანზე არ ყოფილა ჩვენში იმდენი ლაპარაკი, როგორც თფილისის და ქუთაისის გუბერნიების ბანკის თაობაზე. კაცი ვერ ჩამოთვლის—რამდენი ერთმანეთის მზგავსი და მოწინააღმდეგე აზრი გამოთქვა თუ ამ ბანკების დაარსებაზე და თუ იმათ დანიშნულებაზე. ზოგიერთები იქამდინ მივიდნენ, რომ ბრძნულად და თითქოს მეცნიერულის საბუთებით ამტკიცებდნენ, რომ ჩვენებურ თავად-აზნაურობას ბანკი და კრედიტი არ გამოადგებაო, რადგან ეკონომიურად ცხოვრება, მამულის მართვა, ერთი სიტყვით, ფულების მოხმარება არ იცისო და სხვ. და სხვ.

ადრე ჩვენ მუდამ სხვისი იმედი გვქონდა, თითქო ზეციდამ მოველოდით გაკეთებას. ეს პირველი მაგალითია, რომ ჩვენი საზოგადოება თავის საზოგადო საქმეზე თვითონვე სჯის, თვითონვე შრომობს, თვითონვე აპირობს ამ საქმის გაკეთებას; სხვას აღარ შესჩერებია.

თუმცა, როგორც ზევით ვთქვით, ამ საგანზე ბევრი რამ თქმულა, მაგრამ ეს ისეთი საგანია, რომელზედაც კიდევ ბევრი ითქმის. სხვა და სხვა გარემოებისაგან ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ ჩავარდნილი, რომ ჩვენს ახლო მომავალში ამ ბანკების გამართვას, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება.

რა დანიშნულება აქვს ჩვენ ბანკებს? რას უნდა მოველოდეთ ბანკებიდგან?

ერთი საზოგადო ნაკლულევანება გვაქვს: ხშირად რომელსამე ახალს, სასარგებლო საქმეს გამოვიწყებთ ხოლმე,—და მთელი ქვეყანა იმას მივაწყდებით, ყველას იმისი იმედი გვაქვს, გვეჩვენება რომ მივაგენით იმ ჯადოს, რომელმაც ჩვენი ცხოვრება სრულებით და ერთიანად უნდა გადააბრუნოს, რომელმაც უნდა აგვაშენოს, უნდა დაგვაშენოს. ორიოდე შკოლა გაემართეთ, ორიოდე სასოფლო ბანკი გაგვიჩნდა, მეყველეების საზოგადოებას მივაგენით, — და აი რიგ-რიგათ შეექენით ყვირილი და ყველასი დარწმუნება, პირველად, რომ მხოლოდ შკოლაა ჩვენი დამხსნელი, მერე ამნაირადვე სასოფლო ბანკებზე გარდაველით და შემდეგ ყველზე!

იცით, რა მოზდევს ამ ნაირად წინად-შედგენილ ცრუ აზრსა და იმედს? ის, რომ, როცა ხალხი ხედავს, რომ შკოლამ, ყველმა, სასოფლო ბანკმა, ან სხვა ამისთანა საქმემ ვერ გააკეთა, ვერ გადააბრუნა ერთიანად იმის ცხოვრება, — თითქო რწმუნდება, რომ ეს მაშ გამოსადეგი არ ყოფილაო, აუვარდება გული, არავითარ ყურადღებას აღარ აქცევს და ამ ნაირად ბევრში სასარგებლო და ხშირად გამოსადეგი საქმე ერთი-ორი წლის შემდეგ სრულიად ილუპება, დავიწყებას მიეცემა.

უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაგვიგია, რომ ხალხის ცხოვრება ერთობ რთულია, რომ ასე მალე გადაბრუნება იმისა, რაც საუკუნოების განმავალობაში შემდგარა, ისე ადვილი არ არის, რომ შკოლა, სასოფლო ბანკი, მეყველეების საზოგადოება და სხვა ყველა ამგვარები—საშუალებაა, სახსარია და არა მიზანი, და რომ მხოლოთ ერთს ამგვარს, თუმცა ბევრის მხრით ძლიერ სასარგებლო საქმეს ხალხის ცხოვრების გადაბრუნება არ შეუძლია.

სწორეთ ასე მოგვდის ჩვენ დღეს იმ საზოგადო ბანკებზედაც, რომელთ გახსნას ჩვენ დღეს-ხვალ მოველით.

ჩემზე ადრე უთქვამთ, რომ „ფული წამწყმედელიც არის კაცისთვის და მცხონებელიცაო.“ ვინც გონივრულად მოხმარება იცის, იმას აცხონებს, ვინც არა—წაწყმედს.

სრული იმედი რომ არ გექონოდა, რომ ბანკის ფულები გამოადგებოდა ჩვენს საზოგადოებას, დარწმუნებული იყავით, ასე გულს-მოდგინეთ არ დავიჭერდით იმის მხარეს, ამდენს არ ვილაპარაკებდით იმის სასარგებლოთ.

მაგრამ, მეორეს მხრით, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბანკი და ფულები მხოლოთ საშუალებაა, რომ—ბანკს გავმართავთო და გულ-ხელი დავიკრიფოთ, გავკეთდებითო—ამნაირი აზრი არ გამოგვადგება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ისტორიულად მიწის მომუშავე, მეურნეობის მიმდევარი ხალხი ვართ, და ბანკი და იმის ფულები უმთავრესად ამისთვის, ჩვენი მიწის შემუშავებისათვის უნდა გამოვიყენოთ.

რაც უნდათ სთქვან იმათ, ვინც, თითქო სხვა და სხვა პირადი სარგებლობით, განზე უყურებენ ჩვენი ბანკების დაარსებას; როგორც უნდათ მოიქცნენ ისინი, რომელნიც დარწმუნებული არიან, რომ ბანკის გამართვა იმათ ლუკმას გამოაცლის პირიდამ.

ის საზოგადო მიმართულება, რომელიც ერთ წინანდელ „დროების“ ნომერში შევნიშნეთ და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი საზოგადოება ხელების ნძრევას და გამოფხიზლებას იწყებს, ეს მიმართულება, ვამბობთ ჩვენ, გვარწმუნებს, რომ პრიკაზისა და ბანკის ფულების მოხმარებას შუა დიდი განსხვავება იქნება, რომ საზოგადოება რიგიანათ სარგებლობას მოახერხებს იმ საშუალებიდამ, რომელსაც ბანკი მისცემს.

ამის მეტი ჩვენც არა გვსურს რა.

ს. მესხი.

საწყალი მარტვილის შკოლა!

საკვირველია მარტვილის შკოლის ბედი ლბალი! ეს პატარა საეკკლესიო სასწავლებელი დაარსებული იყო სოფ. მარტვილში, თუ არ ვსცდებით, ამ ოც-და-ათი წლის წინათ. დანიშნული იყო განსაკუთრებით სამეგრელოს სამღვდელოების შვილების გასაზრდელად. ოცდა-ათი წლის განმავალობაში შკოლა მიდიოდა თავისთვის წყნარად, შეუშფოთებლად, როგორც ძველებური წესები მოგეხსენებათ. მართალია, ბევრი გამოჩენილი და ეკკლესიისა და ქვეყნის მასახელებელი არ გამოსულა ამ შკოლიდამ. ბოსსუეტებს და ანტონ კათოლიკოსებს არ ზრდიდა; მაგრამ წერა-კითხვასა და ჟამნ-დავითნს მაინც ასწავლიდა თავის შაგირდებს. ჩვენთვის ჯერ-ჯერობით ესეც კარგი იყო....

უეცრად ერთ უბედურ დილას, ან იქნება საღამოს, შკოლას ცეცხლი გაუჩნდა და გარდიწვა. ამ დღიდამ დაიწყო საწყალი შკოლის განსაცდელი და უბედურება. ბოლოს, ბევრი თათბირისა, მოლაპარაკებისა და ბაასის შემდეგ, აიღეს და შკოლა ქუთაისში გადმოიტანეს.

მაგრამ შკოლას თითქო შავ-ბედითი ყორანი თან დასდევდა: აქაც არ მოასვენა. გადმოიტანეს თუ არა, სამეგრელოს სამღვდელოებამ შექნა ერთი ჩივილი, რომ ქუთაისში შვილების გაგზავნა და შენახვა გვიჭირსო, ერთობ შორს არისო, ერთი სიტყვით, ჩვენ შკოლა იქ არ გამოგვადგებაო.

ჯერ ერთი წელიწადი არ გასულა, ეხლა ისევ მოლაპარაკებაა, რომ შკოლა ისევ სადმე სამეგრელოში გადაიტანონ, და შემდეგში კიდევ რამდენი ბედის გამოცვლა, რამდენი მოგზაურობა მოელის—ვინ იცის...

ორიოდა უბრალო კითხვა უნდა მივცეთ ჩვენგან დიდათ პატივცემულ იმერეთის ყოვლად-სამღვდელოს, ჩვენს დღევანდელ კორრესპონდენტს და ყველა იმათ, ვინც ცდილობს, რომ ეს შკოლა ქუთაისში უნდა დარჩესო:

როგორც ორი და ორი ოთხიაო, ისე რომ დაგიმტკიცოთ ვინმემ, რომ თფილისის სემინარიაში უკეთესი მასწავლებლებია და უკეთესი ზედამხედველობაც, ვიდრემ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, გადმოიყვანთ მანდაურ შაგირდებს აქ, თუ არა?

როგორ გგონიათ, მეგრელისთვის შვილების შენახვა სამეგრელოში უფრო ადვილი, მოხერხებული და იაფი იქნება, თუ ქუთაისში?

თქვენი აზრით, შაგირდები შკოლისთვის და მასწავლებლებისთვის არის, თუ შკოლა და მასწავლებლები შაგირდებისათვის?

ს. მ.

ქალაქში ლაპარაკობენ, რომ რუსული და იტალიური წარმოდგენები ჯერ-ჯეროობით აქაურ მუზიკალურ საზოგადოების ზალაში იქნებაო და დეკემბრისთვის საზაფხულო თეატრი უნდა მოამზადონ. ზოგიერთ ოპერებისთვის ტანისამოსს აქვე ამზადებენო.

საზოგადოთ თფილისის თეატრის მომავალ ბედზე ბევრი რამ ისმის. სხვათა შორის ამბობენ, რომ მომავალი წლიდამ უფ. იაბლოჩკინი აღარ იქნება თეატრის მოიჯარადრეო, იმის ნაცვლად ისევ კომიტეტი იქნება სამი კაცისაგან შემდგარიო და ყველა სათეატრო საქმეს ესენი განაგებენო.

ახალი თეატრის აშენების თაობაზე ამბობენ, რომ ფულები თითქმის მზათ არისო: 60,000 მანეთს თამამშოები იძლევაო, ოლონდ ქარვასლა თეატრიდგან გამითავისუფლეთო (ამბობენ, თეატრის მაგიერათ, იქ ბირჟის გაკეთება უნდა); 60,000 მანეთს ქალაქიდგან თუ სხვა და სხვა „საზღვეველი საზოგადოებისაგან“ შემოტანილი ფულებიდამ მიელიან; დანარჩენიც აქვთ მხედველობაშიო.

ჯერ, რასაკვირველია, ადგილიც არ ამოურჩევიათ—სად უნდა აშენდეს ახალი თეატრი და არც ის იციან—თუ როდისთვის უნდა იქნეს მზათ.

* * *

ქახეთიდამ გვატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ დროს იქ წვიმები ყოფილა და ზოგან, სადაც ყურძნის მოკრება დროზედ ვერ მოუსწრიათ, ვენახები წამხდარაო. მაგრამ ადრინდელზე მომეტებული ღვინო მაინც კიდევ მოსულა.

* * *

უფ. ანთიმოზი გვწერს ხონიდამ, რომ ერთს სასოფლო შკოლის მასწავლებელს იმ კრებაში, რომელიც გასულ სექტემბერს იყო იქ, მხურვალე სიტყვა წარმოუთქვამს და თავის ამხანაგებისათვის წინადადება მიუცია, „პირობა დავდოთ, რომ თითო ჩვენგანმა ჩვენი ლარიბული ჯამაგირიდამ თვეში თითო, ან მეტ-ნაკლები, მანეთი გამოვიღოთ, სამი წლის განმავალობაში, შევადგინოთ პატარა სასესხებელი ბანკი და თავნი ფულიდამ რაც სარგებელი შემოვა, იმით ქართულ ენაზე სახალხო წიგნები გამოვცეთო“.

ეს წინადადება, როგორც ზემოხსენებული ჩვენი კორრესპონდეტი გვაცნობებს, ყვე-

ლა იქ თავ-მოყრილ მასწავლებლებს ძალიან მოსწონებიათ და ერთ-ხმით შემდეგი გადაწყვეტილება დაუდვიათ: რადგან ამ საქმის ჩვენ ეხლა არა ვიცით რაო, და რადგან აჩქარებამ თავიდამვე შეიძლება ჩაფუშოს ჩვენი განზრახვა, ამის გამო მომავალ წლამდი თითოეულ ჩვენგანმა იფიქროს, ცნობები შეკრიბოს, თუ როგორ უნდა გაიმართოს ეს პატარა ჩვენი კასსაო და მომავალი წლის კრებაზე კიდევ მოვილაპარაკოთ და საბოლოოთ გადავსწყვიტოთო.

ჩვენი თანაგრძნობა იმერეთის სასოფლო შკოლის მასწავლებლებს და ნატვრა, რომ ეს კეთილი განზრახვა კარგათ შეესრულებინოსთ! Cარიელ თანაგრძნობას გარდა, „დროების“ რედაქცია მზათ არის, თვით საქმითაც დაეხმაროს ამ კეთილი განზრახვის შესრულებასა.

* * *

Iგივე კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ დ. სუჯუნის მცხოვრებლებს (ქართველებს და ურიებს) ორმოცდაათ კაცს სასოფლო ბანკის გამართვა განუზრახავთ. პირობა დაუდვიათ ერთმანეთში, რომ თითომ წელიწადში სამ-სამი მანეთი შემოვიტანოთ სამი წლის განმავალობაშიო. „ეს პირველი მაგალითი იქნება Iმერეთშიო, ამბობს უფ. Aნთიმოზი, და იმის კარგათ წაყვანაზედ დამოკიდებული იქნება სხვა ჩვენ დაბებში და სოფლებშიაც ბანკების გამართვა.“

* * *

უფ. ა. შარაშიძე შემდეგ ცნობებს გვწერს სოფ. Cაგერის იარმუკაზე:

„ეს იარმუკა პირველად უკანასკნელს სამეგრელოს მთავარს სოფ. Oყუშეშში დაუწესებია. მაგრამ, ადგილის სიიაფოვის გამო, შემდეგ Cაგერში გადმოუტანია. Iარმუკაზე მთელი სამეგრელოდამ, Oსეთიდამ და ბევრნი Iმერეთიდამაც იკრიბებიან. Oსეთიდამ მოჰყავთ საქონელი: თხა, ცხვარი, აგრეთვე ცხენები, მოაქვთ ჩოხა და ნაბადი. Oდიშიდამ და ლეჩხუმიდამ—ხარი, ძროხა, ცხვარი, თხა, ქალამანი და სხვა წვრილმალობა. ლეჩხუმელი და სვანელი ქალები კაცებზე მომეტებული არიან. მაგრამ ყველანი სავაჭროთ კი არ მოდიან; ზოგიერთი გასატარებელადაც და საქეიფოთაც მოდის. Aქ ნახავთ ცხენოსნობას, ჯირითს და სხვა თამაშობას. წელს აქ იყო სამეგრელოს თავადი მთავრის შვილი, რომელმაც ძალიან ცხენოსნობა და მხიარულობა გამოაჩინა...“

* * *

Oფილისის აკლიმატიზაციის ბაღში ისყიდება სხვა და სხვა ხილის ხეები. მსურველმა აქაური „მეურნეობის საზოგადოების“ სეკრეტარს, უფ. ნიკოლოზ სიტოვსკის უნდა მიმართოს.

* * *

Qოთში იხსნება განყოფილება იმ საზოგადოებისა, რომელსაც ჰქვია სახელად „ზღვაში სავაჭროთ მოგზაურობის დამხმარებელი რუსეთის საზოგადოება.“

„დროების“ კორრესპონდენცია

სამეგრელოს სამღვდელოების ყრილობა ქუთისში.

დეპუტატები შეგროვდნენ 4-ს სექტემბერს; შეიკრიბენ, მაგრამ არ იცოდენ კი—რაზედ უნდა ჰქონოდათ მსჯელობა. ყრილობა იყო სამეგრელოს სასულიეროს სასწავლებელში, სილაზედ.

მეორე დღის დილის ცხრა საათზედ მიბრძანდა ყოველად—სამღვდელო Iმერეთისა Bბრიელი. პირველათ მან უთხრა მ. დეპუტატებს მოკლე და გონივრული დარიგება შესახებ მათის თანამდებობისა და მოვალეობისა და შემდგომ უჩვენა საგნები, რაზედაც უნდა მოეხდინათ მსჯელობა.

1, საგანი იყო თაეს-მჯდომარის და სამმართველოსთვის წევრების კენჭით ამორჩევა;

2,— კენჭის ყრა ქუთაისიდგან სასწავლებლის გადატანაზედ ისევ სამეგრელოში და, თუ აღმოჩნდებოდა უმეტესის ხმით გარდატანა, კენჭისაევე ყრით დაენიშნათ ადგილი და კომიტეტი, რომლისა ვალად უნდა ყოფილიყო: პლანის გამოტანა ახალის შენობისათვის, სმეტის შედგენა: თუ რამდენი ფული დასჭირდებოდა შენობას, და ბოლოს შესდგომოდა სახლის აშენებასა; როცა დასრულდებოდა შენობა, მაშინ გარდაეტანათ სასწავლებელი. Aმასთან ისიც უთხრა ამ დეპუტატებს: მე გაძლევთ ამაზედ მსჯელობის და კენჭის ყრის ნებას მისთვისო, რომ, თუმცა თქვენი საკუთარი ნება იყო, თქვენისავე ხელის მოწერით, ქუთაისში სასწავლებლის გადმოტანაზედ, დღეს მესმის, მითომ, მე მიზეზათ მხდიდეთ და, მითომ, მსურდეს თქვენი შეწუხება. ეს სრულიად უსაფუძვლოა და გმობა. ჩემთვის სულ ერთია—აქ იქნება, თუ სამეგრელოში; მაგრამ, ჩემის და ყველა გონიერი, ჭკვიანი კაცის ჰაზრით, აქ კი ემჯობინებოდა, რომ დარჩენილიყო სასწავლებელი: რადგან კვირაში სამჯერ მაინც დავხედავდი სასწავლებელს და ვიყოლიებდი კარგს მასწავლებლებს და, Qვთის მადლით, სემენარიაც აქ იქნებოდაო; ყმაწვილები გაიცნობდენ ქალაქის საზოგადოებას და დღეში სამს რუსულ სიტყვას, კლასის შემდგომ, მაინც გაიგონებდენ და დაისწავლიდენო; და ბოლოს ისიც სთქვა: თუ აქ ყმაწვილების შენახვა გიჭირთ, ადგილათ და იაფათ მოხერხდება, თუ მოინდომეფთო;

3., მოელაპარაკნათ ყმაწვილებისთვის საზოგადო სახლის ან გაკეთებასა და ან დაქირავებაზედ;

4., ღარიბის და ობლების მოსწავლეებისთვის დაენიშნათ რაიმე შემწეობა;

5., დაენიშნათ ყმაწვილებისთვის ყურისმგდებელი და

6., განეხილათ ახალი სმეტა ანუ გასაველის ანგარიში 1875-ს წლისთვის წარმოდგენილი სასწავლებლის ზედამხედველისაგან.

მ. დეპუტატებმა თვის შორის თაეს-მჯდომარეთ ამოირჩიეს Qოთის მღვდელი ბრიგოლ მაჭაროვი; წევრებათ კი, სამმართველოსათვის, ისევ მყოფნი: ქუთ. სობოროს ქანდელაკი, მღვდელი რ. ზიგაური და სატუსაღოს ეკკლესიის მღვდელი Iოსებ ციკაჩეიშვილი.

ჯერ მეტის ხმით გადაწყდა სასწავლებლის გარდატანა ისევ სამეგრელოში. მაგრამ აქ მოხდა საშინელი არეულობა და აყალ-მაყალი: ზოგს უნდოდა გადატანა Aხალ-სენაკში, ზოგს ძველ სენაკში, ზოგს ზუგდიდს, ზოგს მარტვილში და ზოგს—დატოვება ისევ ქუთაისში. მაგრამ ხმის უმეტესობით გათავდა მარტვილში გარდატანა.

შემდეგ მ. დეპუტატებმა დანიშნეს კომიტეტი. ღარიბ მოსწავლეებს შემწეობა დაუნიშნეს. Oვალ-ყურის-მგდების დანიშვნაზედ უარი ჰყვეს. ბევრს სმეტის მუხლებზედ უარი განაცხადეს. სასწავლებლის ზედა-მხედველს, რომელსაც, მარტვილში სახლის დაწვის დროს, ზარალი მოუვიდა და დაეხარჯა 500 მან., აპატიეს იმ პირობით, რომ მას, გარდა მისთვის დანიშნულის საგნისა, ესწავლებინა წელს ბერძნული ენა (?).

Qველა ეს მ. დეპუტატებმა, მითომც, კანონიერათ დააწყეს. მაგრამ უკანასკნელმა მათმა პროტოკოლმა კი სულ არივ-დარია სასწავლებლის გადატანაზედ საქმე: ამითი სთხოვეს ეპისკოპოსს ნებართვა ეხლავე გარდატანაზედ სასწავლებელისა მარტვილში, სამღვდელ-მთავრო სახლში. Oოვლად-სამღვდელომ კარგათ იცოდა, რომ ნაჩვენები სახლი არ გამოდგებოდა სასწავლებლად, ერთი Aდამის ჟმის, აკონკილ-დაძონძილი, ასე რომ დღეს თუ ხვალ ქარი წააქცევს, და ამის გარდა რადგანაც კომიტეტის დანიშვნასა და ამ პროტოკოლს შორის უთანხმოება გამოდიოდა, ხელ-მეორეთ დანიშნა ყრილობა, ისევ ამ საგანზე, მომავალ—მაისისთვის.

ჩემის აზრით, ემჯობინება, ქუთაისს დარჩეს სამეგრელოს სასწავლებელი მისთვის, რომ სამეგრელოს სამღვდელოები არ არიან ისე უმეცარნი, რომ არ ესმოდეთ სარგებლობა ქუთაისში სასწავლებლის ქონებისა; რომ დეპუტატებში არის დიდი უთანხმოება სასწავლებლისთვის ადგილის დანიშვნაზე და იმისთვინაც, რომ ვერ შესძლებენ იმისთანა შენობის გაკეთებას, როგორიც პლანი მიეცემა მთავრობისაგან და, რომ კიდევაც შესძლონ, მაინც რიცხვი მოსწავლეებისა სულ თან და თან ემატება ნათქვამ სასწავლებელს (დღეს არის 350 მოსწ.) და ესენი უსათუოდ, იმედია, შესთხოვენ მამებს, რომ ქუთაიშიდვე დასტოვონ სასწავლებელი(?); ამას გარდა მასწავლებლად კარგი და ნიჭიერნი ბევრნი ისურვებენ აქ, ვიდრეღა მარტვილში ან და სხვაგან სადმე სამეგრელოში. Qმაწვილების შენახვა აქ ძლიერ ადვილათ და იაფათ შეიძლება, თუ ოც-ოცს და ან მეტს ყმაწვილს ერთს სახლში დააყენებენ; კიდეც გამოჩნდენ მსურველები, რომ გაურიგდენ მღვდლებს შვილების შენახვაზედ. Oუ ეს მოახერხეს მღვდლებმა, მაშინ იმის ნახევარიც აღარ მოუნდებათ, რასაც დღეს ხარჯავენ.

ქსნელი.

ქ. ქუთაისი

1874 წ. Oქტომბრის 18-ს

რუსეთი

1872 წელს პეტერბურღში ერთი ყურადღების ღირსი საზოგადოება დაარსდა; ამის დანიშნულება ის არის, რომ მოიწვიოს სხვა და სხვა მეცნიერების მცოდნე პირები და ერთს დანიშნულს ზალაში სახალხო ლექციები აკითხვინოს. პირველად ამ ლექციებზე უბრალო ხალხი ძალიან ნაკლებათ დაიარებოდა, სულ 165 მსმენელი თუ იყო. მეორე წელიწადს მოემატა, 350 კაცი დადიოდა და წელს, როგორც „მმართებლობის მოამბეში“ იწერებიან, 460 კაცი დაიარება და გულს-მოდგინეთ ყურს უგდებენო.

* * *

რუსეთის ქალაქებში და განსაკუთრებით სოფლებში, სადაც თითქმის სულ ხის შენობაა, ცეცხლი ძალიან ხშირად ჩნდება. სანამ ერობა არ იყო შემოღებული, ამ ცეცხლს ბევრი ზიანი მოქონდა რუსეთში, მაგრამ ეხლა, სადაც კი ერობაა დაწესებული, თითქმის ყველგან ქალაქები და სოფლები თავის ხარჯით ჰყიდულობენ ცეცხლის საქრობ მაშინებს. რუსეთის ზოგიერთ სოფლებში თითოეულ გლეხს დანიშნული აქვს, რომ, ცეცხლის დროს, ნიჩბით, კაკვით, კეტით, წყლით და ან სხვა ცეცხლის საქრობი იარაღით უნდა გამოვიდეს. Eკატერონოსლავის გუბერნიის ერობას 274 ხელით სახმარებელი ცეცხლის მაშინა გამოუწერია პეტერბურღიდგან და სოფლებში დაურიგებია.

* * *

Mარშანდელი წლიდამ Oდესაში „ქალების კალენდრის“ გამოცემა დაიწყეს. Aმ კალენდრის გამომცემლებს პირობა დაუდვიათ, რომ რაც, ხარჯს გარდა, ფულები შემოვა კალენდრის გაყიდვისაგან, მოსწავლე ქალებს დაუნიშნოთ სტიპენდიათაო. Mარშანდელ კალენდრიდამ 276 მან. და 16 კაპეიკი დარჩენილა და ეს ფულები, როგორც ეხლა აცხადებენ, სამი ღარიბი მოსწავლე ქალისათვის დაურიგებიათ.

* * *

Oქტომბრის რვას პეტერბურღის ოლქის სასამართლოში გაურჩევიათ ერთი კაცისა და ერთი ქალის საქმე, რომელთაც უკანონოთ ცოლ-ქმრობითს კავშირს აბრალებდნენ. ქალმა სასამართლოში გამოაცხადა, რომ ამ კაცთან ჯვარ დაუწერავად ვცხოვრობდიო და ერთი შვილი მყავს იმის ხელშიო. სანამ შვილი გვეყოლებოდა, მშვიდობიანად ვცხოვრობდით, მაგრამ როგორც შვილი გაგვიჩნდა, კაცმა ხუთი მანეთი მომცა და მიმატოვაო. Aმის გამო ქალი თხოულობდა, იმის უწინდელი საყვარელი ვალდებული გაეხადათ, რომ შვილის გასაზრდელად თვეში თუმან ნახევარი მაინც ეძლია. Oუმცა კაცი უარ-ჰყოფდა ამ ქალთან ყოველ-გვარ კავშირს, მაგრამ სასამართლომ ქალის საჩივარი კანონიერად იცნო, ორივეს საეკკლესიო მონანება გადაუწყვიტა და კაცმა ამას გარდა 15 მანეთი უნდა აძლიოს ქალს შვილის გასაზრდელად.

* * *

Eრთი ჩინებული საქმე გამოუწყიათ Oდესაში: რამდენიმე კაცი შეკრებილა, შეუდგენიათ საზოგადოება და ისეთი დიდი სახლის აშენება განუზრახავთ, რომელშიაც 120 ოჯახი უნდა დაეტიოს. საზოგადოება 120 კაცისაგან შესდგება, რომელშიაც თითომ თავიდამვე საზოგადოების კასსაში 12 მანეთი უნდა შეიტანოს და შემდეგ, სანამ სახლი არ აშენდება, წელიწადში ცხრა მანეთი. როცა სახლი აშენდება, ყველა ეს 120 კაცი თავის ოჯახით იქ დადგება და წელიწადში სახლის ქირად 16 მანეთი უნდა აძლიოს, სანამ სახლის ამშენებლები თავის დანახარჯს სრულებით არ აიღებენ. შემდეგ თითოეული წევრი საზოგადოებისა თავის სადგომის (კვარტირის) სამუდამო პატრონად ხდება და შეუძლია სხვას ვისმე გადასცეს, გააქირავოს ან სულ გაჰყიდოს. Aმბობენ, ღარიბი ოჯახებისათვის ამ აზრის სისრულეში მოყვანა ძალიან სასარგებლო იქნებაო.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

რესპუბლიკის პრეზიდენტი მარშალი მაკმაჰონი ამას წინათ Eრის დეპარტამენტში იყო მიწვეული გერცოგის ბროჰლისაგან. Aმ გარემოებამ ჰარიჟის გაზეთები აალაპარაკა; ხმები დაჰყარეს, რომ ნაციონალური ქრების გასხნისათანავე, სამინისტროში დიდი ცვლილება მოხდებაო, გერცოგი ბროჰლი უთუოთ ისევ პირველ მინისტრად გახდებაო და სხ. Eრთი ბელგიური გაზეთი ამის თაობაზე ამბობს, რომ ეხლანდელ მინისტრებს ისე საძაგლათ მიჰყავთ საქმეები, ისე არიევს შინაგანი და გარეგანი მდგომარეობა საფრანგეთისაო, რომ, უეჭველია, ისინი დიდხანს ვერ გაიმაგრებენ ხელში თავიანთ სამინის-

ტრო პორტფელს და ძალა-უნებურად სხვებს უნდა დაუთმონ ალაგი. მაგრამ ამ ალაგზე ყველაზე უფრო ნაკლები უფლება სწორეთ გერცოგ ბროჰლის აქვსო, რადგან ნაციონალურ ძრებაში თითქმის არცერთ პარტიას ის არ უყვარსო.

ყველაზე უფრო ფრანცუზებს და მმართებლობას ეხლა ბონაპარტიელები აშინებენ, რომელთაც, ეხლანდელი მმართებლობის უხეიროობის წყალობით, თან-და-თან ემატებათ ძალა და გავლენა.

ამბობენ, რუერსა და საზოგადოთ ბონაპარტიელი პარტიის მოთავეებს იმნაირად აქვთ საქმე დაწყობილი, რომ დღეს თუ ხვალ იმედი აქვთ, საფრანგეთი კიდევ იმათ ხელში ჩავარდება. მაგრამ ეს იმედი, როგორც უკანასკნელი ამორჩევები გვარწმუნებს, ცრუ და ურევოლიუციოთ აუსრულებელი იმედია.

გერმანია

გერმანიის მმართებლობას განუზრახავს, რომ უკანასკნელ ომში დაპყრობილს ორ პროვინციას, ალზასსა და ლოტარინგიას საკუთარი პარლამენტი, ე. ი. თვით-მართველობა მიანიჭოს. ეხლანდელმა ალზას-ლოტარინგიის გამგებელმა (მთავარ-მართებელმა) თვითონ შეიტანა თურმე გერმანიის უმთავრეს მმართებლობასთან ეს აზრი და ისიც ეთანხმება, რადგან ამ საშუალებით, ე. ი. მომეტებული თავისუფლებისა და თვით-გამგებლობის მინიჭებით, იმედი აქვთ, ალზას-ლოტარინგიის მცხოვრებლების გულს მოიგებენ.

ესპანია

მადრიდის გაზეთებს გარდა, ეხლა ინგლისურს გაზეთებშიაც იწერებიან, რომ დონ-ქარლოსის ბანაკში თან-და-თან უთანხმოება და განხეთქილება ვარდება. ბევრი ღენერლები, აფიცრები და სალდათები გაქცეულა და რესპუბლიკის ჯარს მიმხრობია; დანარჩენებიც ისე გულს-მოდგინეთ აღარ იბრძვიანო. თუ რესპუბლიკური მმართებლობა ჭკუით მოიქცაო, ამბობენ, ძალიან მალე ჩამოაცლის დონ-ქარლოსს ყველა მმხრეებსა და დაიმორჩილებს აჯანყებულებს. მაგრამ, სანამ ეს დროა მოვიდოდეს, მანამ კარლისტები ბევრს უბედურობას მოახდენენ ესპანიაშიო.

საქართველოს ცხოვრებიდგან

ქართველების ძველ-ბედობა ჯალალ-ედინის დროს

„აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გაჭყლიტესო“, სწორედ ასთე დაემართა ქართველებს. ხვარაზმის სულტანს მუხამედ III და ჩინგიზ-ყაენს მოუხდათ ომი. ჩინგიზ-ყაენმა ის დამარცხა და სრულიად დაიპყრო. მუხამედი თავის სამეფოდამ განდევნილი ჯავრით მოკვდა, და მისი მემკვიდრეობა დაიჭირა მისმა შვილმა ჯალალ-ედინმა და ძალიან დიდათ გამწარებული შეება მანგოლებს. რამდენჯერმე კიდევაც დაამარცხა. მაგრამ ბოლოს მონგოლების უმრავლესობამ მამაცს და უუძლიერეს მეომარს ჯალალ-ედინს მოუხარა ქედი. ამისთვის ის იძულებული გამოიქცა სპარსეთში; აქ თათრის შთამომავლობის ხალხმა სელჯუკებმა ის დიდის სიხარულით მიიღეს, შეიყარა იქაური ჯარები და თავ-გადადებით წაექომაგნენ ჯალალ-ედინს; მაგრამ მონგოლების ნოინმა ჩარმაღუნმა, რომელიც ეძებდა იმას ხვარაზმიაში, მაინცა და მაინც დაამარცხა. ამის შემდეგ ის გამოემართა საქართველოს მხრისკენ; მოვიდა ადარბადაგანში და აქედგან დაუწყო ალიხრება ერევანსა, ბანჯასა და სამცხე-საათბაგოს.

1225 წელს ქართველები იმას ძლიერად შეებნენ, ბევრი ჯარები დაუხოცეს; და ამის შემდეგ თუმცა ხვარაზმის სამეფოს ხალხები და სპარსეთის სელჯუკები, მონგოლებისაგან გაბნეულნი, ყველანი იმას აედევნენ და იმას ჰქომაგობდნენ და ამისათვის იმას თან ძლიერ ბევრი ჯარები ჰყვანდა; მაგრამ ქართველებს ის მაინცა და მაინც ვერ დაამარცხებდა, თუ რომ საქართველოს ყველა ჯარებს ერთობით ემოქმედნათ. საქართველოს საუბედუროდ, თამარ დედოფალმა ისრეთი მემკვიდრეობითი ფეოდალური წყობილება შემოიღო სამეფოში, რომ თავის სიკვდილის შემდეგ იმისმა მემკვიდრეებმა თავი ვერ მოუკავეს მთავრებს და ვერ ამოქმედეს ერთობით საზოგადო მტრის წინააღმდეგ. საქართველოს ტერიტორიის—მიწა-წყლის—ხეობებს ყველას თავისი საკუთარი მფლობელი ჰყვანდ; ესენი უფრო თავის საკუთარს სარგებლობას მისდევდნენ, ვიდრე საზოგადოსა. მთავრების ამ გვარს ჭკუა-გონების მდგომარეობის დროს საქართველოსთვის საჭირო იყო ჭკვიანი და ძლიერი მეფე, რომ იმას შეძლებოდა თავისი მძლავრობით და გავლენით საზოგადო მტრის წინააღმდეგ სამოქმედებლად სამხედრო ასპარეზზე ყველა მთავრების ერთად შეკავშირება თავიანთის ჯარებით.

მაგრამ, საუბედუროდ, ამ გვარი მეფეები ამ დროს არ იყვნენ. ლაშა-ბიორგი და რუსუდანი ორივენი ერთმანერთსა ჰჯობდნენ თავიანთ ღირსებით. 355 კაბადონზე ამის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ ამბობს: „საქართველო მიეცა განსარყვნელად ამისთვის რამეთუ დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყვარული, სიწრფოება, სიმშვიდე და სიმართლე, და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავანება, ზაკვა, შური, ხდომა, სიძულილი, ანგარება, კლვანი, პირვანი, სიძვანი და უწესოებანი.“

ამ გვარს ცუდს მდგომარეობაში რომ იყო საქართველო, მაშინ დევნული ჯალალ-ედინი წამოვიდა საქართველოსკენ. მონგოლები იმას ეძებდნენ და უკან მოსდევდნენ. ისინი სპარსეთში. რომ შემოვიდნენ და დაიპყრეს, ჯალალ-ედინი მიაწვა საქართველოს; მაგრამ აქ იყო სამეფო. მე—X, XI, და XII საუკუნეებში სახელგანთქმული თავისი ძლიერი და მეომარი ქართველი ხალხითა. ჯალალ-ედინს ვინ მისცემდა ნებას აქ თავისუფლად თავის შემოხიზნების 150-ათ. მეომარ კაცითა. ამისთვის ის ან უნდა შერიგებოდა ქართველებს და ან ძალით უნდა დაეპყრო. თუ არა და უკანიდგან მონგოლები და წინადამ ქართველები გაუმწარებდნენ მაინც და მაინც თავის ბედ-შავს სიცოცხლეს. ძლიერ ნიჭიერმა და გონიერმა ჯალალ-ედინმა ესრეთი თავისი გასაჭირი მდგომარეობა ძლიერ კარგად იცოდა და ამისთვის მოიწადინა ქართველებთან ზავის ყოფა და ერთობით მონგოლების წინააღმდეგ მოქმედება. 1230 წელს, შემდეგ ზ ლეასი, ივანესი და თორელების დამარცხების, მოსწერა მეფე რუსუდანს და საქართველოს მთავრობას და ნაზირ-ვეზირებს შემდეგი წიგნი და პირობები: „არა მოვედ ვე ერბევად საქართველოსა, არამედ ზავისა და მშვიდობისათვის; გარნა თქვენ მსწრაფლ აღიჭურვენით და ფიცხლად შემებენით“. ამის შემდეგ ახსნის თავის ცხოვრების ვითარებასა და თავის მეფურს შთამომაველობას, მერმე ამბობს: „მესმა სიმაგრე საქართველოსა ნათესავისა და სიმხნე წყობასა შინა; აწ მნებავს რათა შევიერთნეთ და შევითქვნეთ მტკიცითა ფიცითა, და ვებრძოლნეთ მტერთა ჩვენთა: მას მივერ რომელ მეფე თქვენი დედა-კაცი არს და მყოთ ქმარ მისა, და იგი ცოლად ჩემდა, და მე მეფედ თქვენზედა“ (352 კაბ.)

როგორც სჩანს „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობიდგან, ამირ სპარალარი ავაქი და ქართველების ჯარები თითქმის დათანხმებულან; მაგრამ რუსუდანს, რადგან ამ დროს, მძევლად მყოფი, ოორტელის შვილი უყვარდა და ქრმად დაისვა, ამისთვის ჯალალ ედინის სურვილზე სრულიად უარი ჰყო; მაგრამ არავითარი ზრდა არ იხმარა და არ მოემზადა, რომ მტერი, თუ მოიწადინებს ძალადობას, შეებას და დაამარცხოს. რუსუდანს რომ ცოტა ოდენი პოლიტიკური შორსგამჭვრეტელობა ჰქონოდა და ყოფილიყო გონიერი, შეეძლო ცოლ-ქმრობის პირობაზე უარი ეყო, ერთად მოქმედების პირობა კი მიეცა; ამითი მტერი დაემშვიდებინა და მერმე, ანდაზისა არ იყოს, „ეკალი სხვათა ხელით დაეკრიფა,“ ესე იგი ჯალალ-ედინის მძლავრი მკლავით მონგოლები ამოეწყვიტა. მაშინ, უეჭველია, რომ ჯალალ-ედინი საქართველოს იმდენს ეაი-ეაგლახს და უბედურებას არ მიაყენებდა და საქართველოს მამაცი ხალხი ორის ძლიერი მტრის ხმალ ქვეშ კოზაკსავით არ გაიჭყლიტებოდა; და თუ ჯალალ-ედინს მონგოლები მაინც და მაინც დაამარცხებდნენ,—უფრო კარგი—მაშინ საქართველო იმის აოხრებიდგან მაინც იქნებოდა გადარჩომილი.

მართალია, შესაძლო იყო, რომ მონგოლებს ძლიერ დიდათ გადაეხადათ მტრისთვის შემწეობისათვის, მაგრამ განა არ შეიძლებოდა მონგოლებისთვის თავისი შემწეობა უკიდურეს იძულებული მდგომარეობით აეხსნათ. შესაძლო იყო, მაგრამ ენებებით შეპყრობილს რუსუდანს ვინ მისცა იმდენი გონიერება! იქან თავის მოუფიქრებლობით მტერი გაახელა, გააზვიადა და შეამთხვია საქართველოს ერს უდიდესი უნუგეშო სალმობა. ბაფითრებული ჯალალ-ედინი წამოვიდა თფილისის ასაღებათ. უზრუნველმა რუსუდანმა დასტოვა სატახტო ქალაქი, „აიყარა და წავიდა ქუთაისს. ხოლო თფილისის მცველად დაუტოვა ლაშქარი და თავადნი ორნი ბოცოს ძენი: მემნა და ბოცო.“ ჯალალ ედინი მოადგა თფილისს. „მცველნი ქალაქისანი ალიჭურნეს, და იქმნა ძლიერი ბრძოლა, და ბრწყინვალე ბრძოლა აჩვენეს ქართველთა“. ამ დროს შიგ ქალაქში ხვარაზმელნი სპარსნი იყვნენ და კარებს იცავდნენ, მაგრამ მემატიანე ამბობს, რომ ამათ აქ ყოფნის მიზეზის თქმას „გულის ტკივილი არ შემინდობსო. ჯალალ-ედინთან პირობისამებრ, ამათ მეორე დღეს მემნა და ბოცო მუზარადების დაუხურველად განძის კარებიდგან რომ გახდომას უპირებდნენო მტერსა, მაშინ ერთმა შიგნით ყოფმა სპარსმა ანაზდად დაჰკრა მემნას თავში და ძლიერად გაუხეთქა მამაცი მემნა მოკვდა. ასტყდა შიგ ქალაქში ძლიერი ომი. ქართველებმა მოლალატე სპარსები დახოცეს და მერმე ბოცო, მემნას ძმა მიუძღვა ჯარს წინ და შეევიდა მეტეხის ციხეში. „შეიგეს იარანთა ბოცოს ძმან ბოცო, გაამაგრა ირანი და ქმნა ძლიერი ომი. (353 გვ.)

ბოცო ყოველ დღეს ციხიდგან გამოუხდებოდა მტერს და მამაცურად ეომებოდა. სად იყვნენ ამ დროს სხვა ჯარები და ავაქი, ეს არა სჩანს „ქართლის ცხოვრებიდგან“; მაგრამ ნამდვილია, რომ ყოველი მთავარი შეხიზნული იყო თავის სამფლობელოში და თუ მტერი მიადგებოდა, გამწარებული ეომებოდა. მაშასადამე ამ დროს საქართველოში სახალხო ომი ყოფილა; მაგრამ დასავლეთის საქართველოს იმერეთს ომში მონაწილეობა არ მიუღია. ისტორიულად შეიძლება დამტკიცდეს, რომ ჯალალ-ედინისა და მონგოლების ომში იმერეთს თითქმის შვილი არ მოჰკლომია. ბამოქცეული რუსუდანი ქუთაისში სცხოვრობდა; აქაური თავადაზნაურობა მას ელაქუცებოდა და სცდილობდა იმის შვილის, ხუთის წლის დავით ნარინის მეფედ დასმას; თუმცა მეფობა ლაშა-ბიორგის შვილს, დავით სოსლანს, ეკუთვნოდა; მაგრამ რუსუდანმა დავით სოსლანი საბერძნეთის სულთანს ეიასდინს, თავის სიძეს, მოსაკლავად გაუგზავნა; მერმე „მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა: აფხაზთა, დადიანბედიანთა, რაჭის ერისთავსა და ქათალიკოზსა აფხაზეთისასა“ და ქუთაისის სობოროში აკურთხეს ხუთი წლის დავით ნარინი მეფედ.

აი, ამ გვარს შრომაში იყო რუსუდანი და მთელი იმერეთი იმ დროს, როცა აღმოსავლეთის საქართველო თავ-განწირულებით გამწარებული ეომებოდა ჯალალ-ედინს. ის შვიდი წელიწადი საქართველოში დარჩა და თითქმის სრულიად აოხრა. ამ დროს მემატიანეს სიტყვით, 100,000 სულზე მეტი მომკვდარა. შესაძლოა, რომ ეს მართალი იყოს; ამისთვის რომ ხალხი ყოველგან ებრძოდა. ბოცო არა სტოვებდა თფილისის ციხეს და ყოველ დღე გამოუვარდებოდა ერთი დასტა ხალხით და ამსხვრევდა მტერს. წაქეზების, და მიშველების ნაცვლად, რუსუდანი კაცს კაცზე უგზავნიდა ბოცოს, დასტოვე ციხეო, მაგრამ „ძლით დაარწმუნა ბოცოს დაგდება და წასვლა.“ ამ დროს მონგოლებიც მოვიდნენ და ჯალალ-ედინიც ძალა-უნებურად უნდა გასულიყო საქართველოდგან.

ინგილო ჯანაშვილი

ნარევი

ერთს ამერიკულ გაზეთში ჩვენთვის გასაშტერებელი და წირმოუდგენელი ციფრებია მოყვანილი იმაზე, თუ რამდენი შემოსავალი აქვს ამერიკაში გაზეთებს მარტო განცხადებებიდგან. ამ ციფრებიდამ სჩანს, რომ გაზეთს „ნიუ-იორკის დროებას“ წელიწადში განცხადებებიდამ ორ მილიონ მანეთზე მეტი აქვს შემოსავალი. იქაურ ნემეცურ გაზეთს „Staats-Zeitung“-ს („სახელმწიფო მოამბეს“) თითქმის ორ მილიონ მანეთამდი აქვს. მაგრამ ყველა ამერიკულ გაზეთებზე უფრო მომეტებული შემოსავალ გაზეთს „Herald-ს“ აქვს: სამ მილიონ ნახევარი წელიწადში, მაშასადამე დღეში ათას თუმანზე მეტი. ამ გაზეთზე კიდევ უფრო მომეტებული შემოსავალი განცხადებებიდამ ლონდონის გამოჩენილ გაზეთს „ტაიმსს“ („დროებას“) აქვს...

* * *

ვენაში ამას წინათ ერთი მოხუცებული დედა-კაცი მომკვდარა და მთელი თავის ქონება თორმეტი კატისთვის უანდერძებია. ამ თორმეტ კატაში ექვსი მამალი იყო და ექვსიც დედალი. ანდერძში დაწერილებით მოხსენებული იყო, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ ამ კატებს, როგორ უნდა ეგდოთ იმათთვის ყური. ბარეშე კატა იმათში არ უნდა შერეულიყო; თუ რომელსამე იმათგანს გაუწყრებოდა ლმერთი და გარეშე კატისაგან დაორსულდებოდა, მაშინ, ანდერძის ძალით, იმასაც და კნუტსაც დაეკარგებოდათ მემკვიდრეობა და განდევნილი იქნებოდა. ანდერძში სხვათა შორის ერთი მუხლი იყო, რომლის ძალითაც დედაკაცს კატების ზედამხედველად ერთი ოჯახი დაენიშნა იმ პირობით რომ, როცა კატები დაიხოცებოდნენ, მემკვიდრეთ ეს ოჯახი დარჩებოდა. მეორე მუხლში კი ეწერა, რომ, კატების დახოცვის შემდეგ, მემკვიდრეთ ქალაქის ღარიბები არიანო. კატების აპეკუნმა ცოტ-ცოტათი ამოწყვიტა ყველა კატა იმ იმედით, რომ მემკვიდრეთ დავრჩებიო; მაგრამ იქაური კეთილის-მყოფელი საზოგადოება გამოედავა იმას და ახლა ამაზე საჩივარია შემდგარი.

* * *

Ამერიკის ერთს ქალაქში ამას წინათ კრება ყოფილა იმ ქალების საზოგადოებისა, რომელთაც მიზნათ აქვთ, რომ ქალის ტანთსაცმელის მაგივრად კაცის ტანსაცმელი შემოიღონ ქალებისათვის, ე. ი. იუბკის მაგივრად—შარვალი და კაბის მაგივრად—სერთუკი. Ამ კრებაზე ზოგიერთი ქალები კაცის ტანისამოსში მოსულან. Ერთს საზოგადოების წევრს, სხვათა შორის, შემდეგი ხიტყვა უთქვამს: „მე თქვენ გეუბნებით, რომ შარვალი ჩვენთვის თავისუფლების მომნიჭებელი და დამცველი იქნება! Იუბკის მიტოვება და შარვლის ჩაცმაა ჩვენი რეფორმა! ეს რეფორმა მალე დადგება!“ Ახირებული ხალხია ეს ამერიკელები...

* * *

Სამზღვარ გარეთ დიდი-კაცის ქალები ხშირად საზოგადოებას ადგენენ, რომლის წევრები დამტვრეულ ბოთლებს, ჩვრებს, სიგარის და პაპიროზის ნამწვს აგროვებენ, გზავნიან ფაბრიკებში, ჰყიდიან და შემოსულ ფულებს რომელსამე კეთილს საქმეს ახმარებენ, უფრო ხშირად ღარიბ ყმაწვილებს ზდიან.

Ერთი ამისთანა საზოგადოება ამ მოკლე ხანს ერთი რუსის ქალს შეუდგენია პეტერბურღში და, როგორც იწერებიან, ეხლავე იმდენი შემოსავალი აქკსო, რომ ოთხ ქალს ზდის სხვა და სხვა შკოლებშიო.

* * *

Რადგან თვითონ ბარიბალდის შეძლება არ ჰქონდა, ამის გამო იმის წიგნი „Ათასი“ ხელის მოწერით გამოუციათ. 4,500 კაცს თითო მანეთ ნახევარი შეუტანიათ და დაუბეჭდიათ. Თავის წინასიტყვაობაში ბარიბალდი Იტალიის ახალგაზდობას მიმართავს და შემდეგ სიტყვებს ეუბნება:

“Პოლიტიკას მიაქციათ ყურადღება. Პოლიტიკა მთელ ხალხს შეეხება. მე არცერთ პარტიას არ ვეკუთვნი. Მსურს მხოლოთ, რომ ჩემი სამშობლო აჰყვავებულიყოს, რომ იმას ქვეყანა პატივს სცემდეს. Მსურს, ჩემი ქვეყნის მმართველებმა გაიგონ ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენს დროში ხალხს ისე ვერარ მოეპყროება, როგორც ადრე ეპყრობოდნენ. Ძველად თითქმის მუდამ ხალხის ბედს უმეცრება და ხეპრული ძალა განაგებდა. „Სახელმწიფო—მე ვარო“, ამბობდა ლიუდოვიკო მეთოთხმეტე. Საფრანგეთი და Ესპანია გვიტკიცებენ, რომ ეს დრო სამუდამოთ წავიდა.“

* * *

Ერთი სტატისტიკური წიგნიდამ სჩანს, რომ ლონდონში, რომელიც მთელს დედამიწაზე ყველა სხვა ქალაქებზე უფრო მდიდარ ქალაქათ ითვლება, შარშან ას შვიდი კაცი მომკვდარა შიმშილისაგან...

განცხადებანი

ბიბლიოგრაფიული განცხადება

Იყიდება Ტფილისში, Ექვთიმე ხელაძის სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლებში:

1,— სამზარეულო წიგნი, შედგენილი ბ. ბარბარე ჯორჯაჯისაგან. ფასი ერთი მინეთი.

2,— ბუნების კარი, სასწავლებელი ჩიგნი, შედგენილი იაკობ ბოგებაშვილისაგან. ფასი ცამეტი შაური.

3.— ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი იაკობ ბოგებაშვილისაგან. ფასი ერთი შაური.

4,— საახალწლო ხუმრობა, აკ. წერეთლისა. ფასი ხუთი შაური.

5,— ლექსები სახალხო სიმღერისაგან შედგენილი პეტრ. უმიკაშვილისაგან. ბამოცემული სტეფ. ზარაფოვისა. ფასი ერთი შაური.

6,— რჩეული არაკები ინბრძნე სიცრუისაგან, თქმული საბა ორბელიანისაგან. გამომცემელი სტეფ. ზარაფოვისა. ფასი ერთი შაური.

7,— ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთაისა და ილ. ჭავჭავაძისაგან, გამომცემელი ი. მელიქიშვილის, და ექვთიმე ხელაძისაგან. ფასი ერთი შაური.

8,— ლოცვანი საყოველდღეო, გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან. ფასი ერთი შაური.

6,— ბეჟანიანი, გამოცემული ი. ნერსესოვისა და არ. ქალანდაძისა. ფასი სამი შაური.

10.— ალექსიანი, გამოც. ი. ნერსესოვისა და არ. ქალანდაძისაგან. ფასი ერთი შაური.

11,— ქალ-ვაჟიანი, იმავე პირთა გამოცემული. ფასი ერთი შაური.

12,— წმინდა მარინეს წამება და აბრამიანი. მათივე. გამოცე. ფასი შაური.

13,— დიდი მოურავი, ტრაგედია, თხზ. ანტონ ფურცელაძისა. ფასი ერთი მანეთი.

14,— ბუთნის-დედის ბრალი, სასოფლო სესხებითი (ანუ ვასხებითი) ამხანაგობანი. ფასი ექვსი შაური.

15,— სიბრძნე სიცრუის წიგნი. სრული გამოც. პეტრე უმიკაშვილისაგან. ფასი ათი შაური.

16,— დავითიანი, (ანუ ბურამიანი) თხზ. დავით ბურამიშვილისა. წიგნი პირველი. ფასი ათი შაური.

17,— ბრიგოლ ორბელიანის ლექსები, გამოც. პეტ. უმიკაშვილისა ფასი ათი შაური.

18,— ჩვენებური საქმის ბოლო, მოთხრობა ან. ფურცელაძისა. ფასი ორი აბაზი.

19,— თარგმანი საამურთა საკითხავთა, თარგმნილი და გამოცემული ქართველის ქალებისაგან. ფასი ორი აბაზი.

20,— ბიოგრი მრისთავის თხზულებანი, ფასი ორი წიგნისა სამი აბაზი.

21,— ბავშვების მოელა, კომბისა. ფასი ათი შაური.

22,— ჟურნალის „კრებულის“ ნომრები. Თითო წიგნის ფასი ათი შაური.

23,— ჟურნალის „Ცისკარის“ ნომრები. თითო წიგნის, ფასიხუთი შაური.

Ბარემე ქალაქებში, ანუ სოფლებში, ეისაც სურს ამ წიგნების დაბარება, უნდა გამოიწეროს ამ ადრესით:

Въ Тифлисъ, Типографіи Еф. Хеладзе, на Ханской улицѣ, въ домѣ Бебутова.

ბანდაჟისტი მათიას ფშორრი ბერმანიიდგან, ბანოვის ქუჩაში, პოლიციის ახლოს გადმოვიდა ახალ მაღაზიაში. Აკეთებს ყოველ გვარ **ბანდაჟს,** ახალ **კარსეთებს** ჰკერავს და ძველს **აახლებს;** აქვე **ფერჩატკების** რეცხვა შეიძლება; ყოველსავე ამას სხვა ადგილებზე **ნაკლებ ფასათ** მიიღებს. Აქვე ისყიდება პირველი სორთის **წყლის წავალი,** გირვანქა ორ აბაზათ.

ოქრისის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა.

შვიდი თვის ანგარიში

21 მარტიდამ 21-ს ოქტომბრამდე 1874. წ.

Ამხანაგობაში ირიცხება წევრად ორას სამოცი კაცი.

ა.) შემოსავალი

1.)	წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული	1507 მ. 80 კ.
2.)	სესხი, რომელიც ამხანაგობამ აიღო დამფუძნებელთაგან . .	1500 მ.
3.)	Ამხანაგობამ ისესხა Ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან და კერძო პირთაგან. .	2110 მ.
4.)	Სასარგებლოდ შეტანილია კერძო პირისაგან	40 მ.
5.)	Სარგებელი აღებული გასესხებულის ფულისაგან . . .	295 მ. 50 კ.
6.)	Დაბრუნდა სესხი ახალ ვადა მიუცემელი	605 მ.
	სულ შემოსულა	6,508 მ. 30 კ.

ბ.) Გასავალი

1.)	Გასესხებულა . . . . . :	4,925 მ.
2.)	Შეტანილია Თფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში...	150 მ.
3.)	Სარგებელი მიცემული წასესხზედ Ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში	42 მ. 46 კ.
4.)	Დახარჯულა გამგეობაზედ . . .	300 მ. 50 კ.
5.)	Სარგებელი დაბრუნდა ვადაზედ წინათ გარდახდილის წასესხისა . . .	2 მ.
	სულ გასულა	5,419 მ. 96 კ.

გ.) Ქასსა.

1.)	შეტანილია Ტფილისის საკერძო ბანკში	100 მ.
2.)	Ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ გამოგვირიცხა წესდების თანახმად.	5 მ. 30 კ.
3.)	Ნაღდი ფული არის კასსაში ..	533 მ. 4 კ.
	სულ	638 მ. 34 კ.
	გასავალი არის	5,419 მ. 96 კ.
	ერთიანი ჯამი	6,058 მ. 30 კ.

Გამგენნი: { მ. ქადაგოვი. / გ. ოსეფოვი.

ოვეიცარიის მაღაზიაში სამშაბათობით და პარასკეობით ისყიდება **ქარაქი,** თოთხმეტ შაურათ გირვანქა, ბოლოვინსკის **პროსპექტზედ, ორბელიანის სახლში.**

ჩულურეთში და დიდუბეში ისყიდება ზომიერ ფასად სამოსახლო ადგილები, რომელიც ეკუთვნის სტატსკის სოვეტნიკის ცოლს **ეკატერინა ნადიროვისას.** შეუძლიანთ იყიდონ ვისაც რამდენი სურს, ფასის შეტყობა **ნადიროვის** მაღაზიაში, ერევნის მეიდახზედ, **თამამშოვის** ქარვასლის პირდაპირ შეიძლება.

დაბა ზუგდიდში მიიღებიან რვიდამ თორმეტის წლის **ყმაწვილები,** რომელთაც ამზადებენ მისაღებელად პირველს სამს კლასში რეალურს და კლასსიკურს გიმნაზიებში.

Მსურველთა შეუძლიანთ მიიქცენ **მეუღლა** მიროვის პოსრედნიკისა **ე. კ. ქავთარაძისასთან.**

სტუდენტი ფიზიკო-მატემატიკურ ფაკულტეტისა და ახალი **მასწავლებელი თელავის სამაზრო სასწავლებლისა** —**გვარათ ლოგზინსკი**—იყვანს თავისთან ყმაწვილებს მოსამზადებლათ ოთხ მდაბალ კლასებში **ქლასსიკურ** გიმნაზიისა, **რეალურ** და **უმანის** ხვნა-თესვის და ბაღების კეთების **სასწავლებლისა.**

Გარდა ამისა შეუძლიან აძლიოს გაკვეთილი სადურგლო ხელობისა **შეგირდებს,** ვისაც კი სურს ამ ხელობის სწავლა. Ძიდევ ამზადებს ახალგაზდა ორთავე ექსის ყმაწვილებსა შინაურ **მასწავლებლათ.** Იღებს თავისთან მათემათიკის და ნემენცური ენის **შემსწავლებელ** მოსურნე **შეგირდებს** თვეში ითითოს ხუთ **მანეთათ.**

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

Იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ **„საუმაწვილო კონა“** ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებიდგან, პირველი ნაწილი, **შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან.**

ცეცხლის გემები

ა) Ფოთიდამ:

Ოდესისკენ—კვირა საღამ. 6 საათ.

Სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) Სოხუმიდამ:

Ფოთს—ორშაბათს, ღამით.

Ოდესას—ს.შაბათს, გათენებისას

გ) Ბაქოდამ:

Ასტრახნისკენ—სამშ. ხუთშ. დილ.

Ასტრაბადისკენ—კვირა შუაღამეს.

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
Ოცი სიტყვა Თფილისიდამ:		
ქუთაისს, Ფოთს . .	1	—
Ბორს, Დუშეთს, სილნახს	-	50
Როსტოვს Ოდესას Მოსკოვს	2	—
Პეტერბურგს, Ვარშავას . .	3	—
Სპარსეთში	5	76
Ბალკანეთში, Შვეიცარიაში	3	—
Იტალიაში და Საფრანგეთში.	3	50
Ინგლისში	4	—

ფოშტა

ა) Თფილისიდამ:

Სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, Რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

Ყოველგან—ორშაბ. ამას გარდა Თფილისს და Რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. Ფოთს და Სოხუმს—ხუთშაბ. და შაბათ. (საღამოდი.)

გ) ბორიდამ.

Ყოველგან—ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე.)

დ) ფოთიდამ:

Ყოველგან—ყოველ დღე.

Წიგნის გაგზავნა Რუსეთში:	კაპ
Ღია წიგნის	5
Დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

ბირჟა

	მან.	კაპ
Პეტერბურგი, 1 თკტომბ.		
ერთი მანეთი ღირს:		
Ლონდონში $33\frac{3}{8}$ პენსი.	—	84
Პარიჟში $350\frac{1}{2}$ სანტიმი.	—	89
Ამსტერდამ(სარგებლისფასი)	6	—
Ბანკის ბილეთი 5%	98	25
Მოგებიანი(პირველისესხი)	177	75
Მოგებიანი (მეორე სესხი)	173	—
Ბირაოს ფურცლები:		
ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$)	83	80
Მოსკოვის (5%). . . .	86	50
Აქციები:		
Ოდესის საკერძო ბანკის.	250	—
Ფოთი-Თფილ.რკინ. გზის	132	50
Შავიზღვის ცეცხ. გემების	530	—
Კავკაზის და მერკურის. .	168	—
Პირვ. უზრუნვ.მყოფი საზ.	693	—
Პეტერბ. უზრ. მყოფი საზ	263	—
Მოსკოვისუზრ.მყოფი საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
Თფილისი, 9ოკტომ.		
Პური ბანჯისა . .	1	10
ქერი.	—	70
Ბამბა ერევნისა . .	4	50
—Ამერიკისა . .	6	40
Ბაპენტილი ბამბა .	8	—
Მატყლი თუშური .	6	50
—Თარაქამისა . .	4	
Აბრეშუმი . . .	7	—
ქონი	4	—
ქონის სანთელი . .	6	—
სტეარინის სანთელი .	10	30
ხორცი ძროხისა .	—	45
—ცხვრისა . .	—	55
სპირტი	7	—
შაქარი კარგი . .	8	60
—ფხვნილი . .	7	
Ყავა გრგვალი .	19	
ზეთი ქუნჯუთისა .	7	—
ოქრო . . .	5	90

„დროების“ ფოსტა

— Ყველა კორრესპონდენტებს. Редакціის ზრის პირ-და-პირ გამოთქმა თქვენს ნაწერებზე ნუ გეწყინებათ, ამას შეურაცხყოფად ნუ ეიღებთ.

— Уф. X-ის კორრესპონდენციის თაობაზე, ექვსი თუ შვიდი სტატია მოგვივიდა. Ადგილობის გამო, მხოლოთ ერთს იმათგანს დავბეჭდავ. Პატარა საგანზე ბევრი წერა გვიკვარს....

— Уф. ოკ-ბელს, მ—ს. Თქვენი სტატია ერთობ გაცვეთილ ს.განზედაა დაწერილი და ისიც ერთობ სუსტათ; ამიტომ არ იბეჭდება.

— ქ-ლს, ხ-ს. Ამაზე ერთი კორრესპონდენცია იყო „Дроебашъ“ დაბეჭდილი და მეორე აღარა ღირს.

Уф. ჯ. Კანონად გვაქვს დადებული, რომ სანამ რომელიმე სტატია სრულად არ მოგვივა, დასაწყისს არ დავბეჭდთ, რადგან ხშირად სტატიის თავს აგზავნიან და დასასრულ კი ივიწყებენ...

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Октября 1874 г. Типографія Меликова и К°. ბაბოტცეძელები ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.